

1-15 სტრ., 3r

პატიოსანხო და დიდებულხო ჟამთა ვითარებისაგან ქართლ  
ის ცხოვრება განწყუნილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ და რომე  
ლიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო: ხ~ მეხ  
უთემან ძემან ლეონისამან და ძმის წულმან სახელოვან  
ნის გიორგისამან შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა  
საცა რამ ქართლის ცხოვრებაეი პოვნა და კუალად გუჯარნი მც  
ხეთისანი გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებუ  
ლთანი და შეამოწმეს და რომელი განწყუნილ იყო განმარ  
თეს და სხვაცა წერილნი მოიხუნეს რომელიმე სომეხთა და სპ  
არსთა ცხოვრებისაგან გამოიხუნეს და ესრეთ აღაწერინეს:  
პირველად ვაქსენოთ ესე რ~ სომეხთა და ქართველთა რა  
ნთა და მოვაკნელთა ჰერთა და ლეკთა მეგრელთა და კა  
ვკასიანთა ამათ ყოველთა ერთი იყო მამად სახელით თარ  
გამოს ესე თარგამოს იყო ძე თარშისა ძისა ავანანისა ძი  
სა იაფეთისი ძისა ნოესა: და იყო ესე თარგამოს კაცი

1-16 სტრ., 3v

გმირი და შემდგომად განყოფისა ენათასა ოდეს აღაშენა ნებ  
როთ ბაბილონს გოდოლი და განეყუნეს მუნ ენანი და განიბნ  
ივნეს მუნით ყოველსა ქუეყანასა და წარმოვიდა ესე თარ  
გამოს ნათესავითურთ მისით და დაემკუდრა ორთა მათ მ  
თათა შუა კაცშეუვალთა არარატსა და მასისსა და იყო  
ნათესავი მისი დიდი და ურიცხვი რ~ ესხნეს ცოლმრავალ  
ძენი და ასულნი და შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და  
ასულთა მისთანი: რ~ ცხონდა იგი ექუსას წელ და ვე  
რღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა ხ~  
ქუეყანად იგი რომელი წილით ხუდომოდა ესე არს  
საზღუარი ქუეყანისა მისისაა: აღმოსავლით ზღვ  
ად გურგანისა რომელსა აწ გილანის ზღვა სახელ ედ  
ებინ: დასავლით ზღვად პონტოსი რომელსა აწ შა  
ვი ზღვად სახელ სდებენ: სამჯრით მთად ორეთისა რო  
მელ არს ქურთთა ქუეყანასა პირის პირ მიდიისაა:

ჩრდილოდ მთა კავკასია რომელსა სპარსნი იალბუზს

1-16 სტრ., 4r

უწოდებენ ხ~ შვილთაგან თარგამოსისათა გამოჩნდეს კაცნი  
რვანი გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი რომელთა  
სახელები ესე არს პირველსა ერქუა ჰაოსს მეორესა  
ქართლოს მესამესა ბარდოს მეოთხესა მოვაკან მე  
ხუთესა ლეკოს მეექვსესა ჭეროს მეშვიდესა კავკას მე  
რვეს ეგროს ესე რვანი იყუნეს გმირნი ხ~ ჰაოსს უ

მეტეს გმირი იყო ყოველსა რ~ ეგე ვითარ აროდეს ყო  
ფილიყო არცა წყლის რღვნას წინათ და არცა შე  
მდგომად ტანითა ძალითა და სიმჭნითა ხ~ ვერღარა  
იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა განუყო თა  
რგამოს ქუეყანა და ნათესავი თვისი რვათა ამათ გმი  
რთა: ნახევარი ნათესავსა მისისა და ნახევარი და  
უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს სხვა  
თა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა  
წარმოიყუანნა შვიდნი შვილნი იგი ჩრდილოდ კერძოდ და გა  
ნუყენა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა:

1-16 სტრ., 4v

**მ**ისცა ქართლოსს და უჩუენა საზღვარი აღმოსავლით  
ჭრეთი და მდინარე ბერდუჯისა დასავლით ზღვაჲ პ  
ონტოსი სამჭრით მთაჲ რომელი მიჰყუების ბერდუჯ  
ის მდინარის თავსა და მთაჲ რომელი მიჰყვების დასავლი  
თ კერძო რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო  
და მიერთვის მტკუარსა რომელი მიჰყვების მთაჲ შორის  
კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის და ჩრდილოთ სა  
ზღვარი ღადო მთაჲ რომელი გამოვლის შტოდ კავკას  
ისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა რომელსა  
აწ ჰქუიან ლიხი და ამათ საზღვართა საშუალ მისცა  
ყოველი ქართლოსს **ხ~** ბარდოსს მისცა მტკუარსა სამჭ  
რით ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტ  
კუარი და რაჳსი ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდა  
ვი და დაეშენა მუნ: **და** მისცა მოვაკანს მტკუარსა ჩრ  
დილოთ მცირის ალაზნის შესართავითგან ვიდრე ზღუამდე  
და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი და დაემკუდრა მუნ

1-16 სტრ., 5r

**ხ~** ჭეროსს მისცა ქუეყანაჲ მტკურისა ჩრდილოთ  
მცირე ალაზნის შესართავითგან ვიდრე ტყე ტბამდე რომ  
ელსა აწ ჰქუიან გულგულა და ამან ჭეროს აღაშენა პირ  
ველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზ  
ანთასა და უწოდა სახელი თვისი ჭერეთი და მის გამო ჰქუიან  
ჭერეთსა ჭერეთი და აწ მას ადგილსა ჰქუიან ხორანთა:

**მ**ისცა ეგროსს ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი  
აღმოსავლით მთაჲ მცირე რომელსა აწ ჰქუიან ლიხი დასა  
ვლით ზღვაჲ მდინარე მცირისა ხაზარეთისაჲ სადა წარს  
წვდების წუერი კავკასისა ხ~ ამან ეგროს აღაშენა ქალა  
ქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი აწ მას ადგილსა ჰქუიან  
ბედიჲჲ ხ~ კავკასიათა ჩრდილოთ არაჲ იყო ხუედრი თარგამოს  
ისა ა~დ არცა იყო კაცი კავკასიანთა ჩრდილოთ და უმკუიდ

რო იყო ქუეყანად იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა ამისთ ვის გამოიყუანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი 1-16 სტრ., 5v

ლეკან და კავკასი: და მისცა ლეკანს ზღვიდგან დარუბა ნდისათ ვიდრე მდინარედმდე ლომეკისა ჩრდილოთ ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთისათა: მისცა კავკასის ლო მეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე კავკასიისა დასავ ალითსა ხ~ ჰაოს დაემკვიდრა საყოფელთა მამისა თჳ სისა თარგამოსისთა და დაიპყრა ქუეყანა ჩრდილოთა ვითა დაგვიწერია: სამხრით მთით ორეთისითგან აღმოსავ ლით ვიდრე ზღუადმდე გურგანისა და დასავლით ვიდრე ზღუადმ დე პონტოსა და ამათ შვიდთავე ძმათა ზედა იყო გამგებელ და უფალ : და ესე ყოველნი იყუნეს მორჩილ ჰაოსისა და ამათ ყოველთა იყო ერთი ენა სომხური და ესე რვანი ე რთობით ჰმონებდეს ნებროთ გმირსა რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყანისა:

შემდგომად ამისა მცირედთა წელიწადთა მოუწოდა ჰაოს შვი დთა მათ გმირთა შემოკრიბნა და ჰქუა მათ მოგუცა ღ თნ მაღალმან ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩუენისა აწ 1-16 სტრ., 6r

შეწევნითა ლ~თისა დამბადებლისათა ვიყვნეთ არავისა მონა და არავის ვმსახუროთ თვინიერ ლ~თისა დამბადებელისა ეწ ამნეს შვიდნი იგი გმირნი და დაუმტკიცეს განზრახვად იგი და განუდგეს ნებროთს და არღარად მისცეს ხარკი და ეზრახნეს სხუათა ვიეთმე ნათესავთა და დაუორგულდეს სხ ვანიცა ნათესავნი:

მაშინ განუწყრა ნებროთ და შემოკრიბნა გმირნი მისნი და ყოველნი რომელნი ერჩდეს სპანი მისნი და მომარ თა თარგამოსიანთა ხოლო ჰაოს მოუწოდა შვიდთავე გმირ თა და ყოველსავე ნათესავსა თარგამოსისსა და შეეწივნ ეს სხვანიცა ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი: შეკრიბ ნა ჰაოს ესე ყოველნი და დადგა ძირსა მასისისასა და ვითა რ მოადგა ნებროთ ქუეყანასა ადარბადაგნისასა და დადგა მუნ წარმოავლინნა გმირნი სამეოცნი და მათ თანა სპანი ურიცხვნი წყოზად თარგამოსიანთა ხ~ ვ~ა მოიწივნეს სპ ანი ნებროთისნი მაშინ მიეგებნეს შვიდნი იგი გმირნი ძმ 1-16 სტრ., 6v

ანი ჰაოსისნი სპითა ძლიერთა ხ~ ჰაოს სპითა უძლიერესითა დაუდგა უკანით ზურგით იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა რ~

მტუერი ფერჯისა მათისა ვა ღრუბელი სქელი ელვა  
აბჯრისა მათისა ვა ელვა ცისა ჳმაჲ პირისა მათისა ვა  
ჳმაჲ ქუხილისა სიმრავლე ისართა და ტყორცა ქუისა მა  
თისა ვა სეტყუა ჳშირი და დათხევა სისხლისა მათისა  
ვა ღუარი სეტყუათა განგრძელდა ბრძოლა მათ შო  
რის და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი ხ ჳაოს უდგა ზუ  
რგად გმირთა მისთა ძალსცემდა და ნუგემისცემდა ჳმი  
თა საზარელითა რომელი მსგავსი იყო მეხის ტეხისა მა  
შინ სძლეს თარგამოსიანთა და მოსრნეს სამეოცნი იგი გმ  
ირნი ნებროთისნი და სპანი მათნი ხ შვიდნი ესე გმირნი  
თარგამოსიანნი ქართლოს ბარდოს მოვაკან ჳეროს  
ლეკან კავკასან ეგროს ესენი დარჩეს ცოცხლებით  
თვინიერ წყლულებისა და ძლევაშემოსილნი ჳმადლობდეს ღთსა  
1-16 სტრ., 7r

ხ ვა ესმა ნებროთს განწყრა და წარმოემართა მათ კერძო  
ყოვლითა ძალითა მისითა ხ ჳაოსს არა ჳყუეს სპანი ნე  
ბროთის სპათა ოდენნი: განმაგრდა იგი ღირღალთა შინა მას  
ისისათა მიუდგა ქუეშე კერძო ნებროთ და იყო იგი ჳურ  
ვილი რკინითა და რვალითა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე  
აჳჳდა ერთსა გორასა ზედა ზრახვად ჳაოსისა და ეტყოდა დამორჩი  
ლებასავე მისსა რათა სთნდეს მიქცევა მისადვე ხ ჳაოს ჳქუა  
გმირთა მისთა განმიმაგრეთ ზურგით კერძი ჩემი და მი  
ვე ახლო ნებროთს და წარვიდა და მივიდა პირისპირ მახლობელად ნებრო  
თისა და სტყორცა ისარი და ჳკრა მკერდსა ნებროთისსა ფიც  
არსა ზედა რვალისასა და განავლო ზურგით მაშინ დაე  
ცა ნებროთ და იოტა ბანაკი მისი და განთავისუფლდეს  
ნათესავნი თარგამოსისნი და მაშინ ჳაოს ყო თავი თვისი მეფე  
დ ძმათა თვისთა ზედა და სხუათაცა ნათესავთა ზედა მა  
ხლობელთა საზღვართა მისთასა ხ შვიდნივე ესე ძმანი  
წარვიდეს თვის თვისად ქუეყანად და იყუნეს მორჩილ ჳაოსისად  
1-16 სტრ., 7v

ხ აქამომდის დაღწერეთ ჳამბავი ესე რვათავე ძმათაჲ:

**ხ აქათგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ჳამბავი ქართლისა და  
ნათესავისა მათისა და ცხოვრებაჲ მათი ვიდრე დღეთა ჩუ  
ენტამდე და ვითარ იგი განუყო ქუეყანად თარგამოს ნათ  
ესავსა მისდა და რვათავე შვილთა მისთა:**

**და** მისცა ქართლოსს ქუეყანა რომელი ზემო აღწერეთ  
და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას სა  
და შეერთუის არაგვი მტკუარსა და განვიდა მთასა მას ზე  
და რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა ს  
იმაგრენი მას ზედა და იშენა მუნ ზედა სახლი და უწოდა

მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი და ვიდრე აღ  
მართებამდე მუნ ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას  
ქართლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართ  
ლი ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა:

შემდგომად ამისსა ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორ  
ბისა რომელსა აწ ჰქუიან სამშვილდე და კუალად აღაშენა  
1-16 სტრ., 8r

მტურის ციხე რომელსა აწ ჰქუიან ხუნანი ცხოვნდა იგი მ  
რავალთა წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი ხ~ შვილთა  
შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი რომელთა სახე  
ლები ესე არს პირველსა მცხეთოს მეორესა გარდაბოზ  
მესამესა კახოს მეოთხესა კუხოს მეხუთესა გაჩიოს ესე  
ხუთნივე იყუნეს გმირნი ა~დ მცხეთოს უგმირე იყო ხუთთავე  
მათ მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა  
ქართლისასა რომელსა აწ ეწოდების არმაზი და შემდგ  
ომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე და მა  
ნვე აღაშენა ბოსტან ქალაქი რომელსა აწ ჰქუიან რუსთა  
ვი და განყუნა ცოლმან ქართლოსისმან ხუთნივე იგი გმ  
ირნი შვილნი მისნი მისცა გარდაბოსს ხუნანი და უჩ  
ინა საზღვარი აღმოსავლით მდინარე ბერდუჯისი და  
სავლით ქალაქი გაჩიანი და სამჯრით მთად პირველ ვს  
ენებული და ჩრდილოთ მტკუარი ხ~ გაჩიოსს მისცა  
ორბის ციხე და სკვირეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე  
1-16 სტრ., 8v

აზოცისა და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი რომე  
ლსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი: და კუხოსს მისცა ბო  
სტან ქალაქი რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი მისცა არაგვიდგან  
ვიდრე წერეთამდე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარ  
სა შუა ხ~ კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორ  
ის არაგვიდგან ვიდრე ტყე ტბადმდე რომელი არს საზღვარი  
წერეთისა და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი კუხოს შეეწია  
შენებასა ჩელეთისასა რ~ დედა ციხე კახოსის ხუედრი იყო და მი  
სცა კახოს შეწევნისათჳს და შეეწია შენებასა ჩელეთისასა  
რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა:

ხ~ მცხეთოს რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა ესე დარჩა სა  
ყოფელთა მამისა მათის ქართლოსისათა რომელსა აწ ჰქუიან  
არმაზი და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მ  
ტკურისა და არაგვისასა და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა და  
დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგვიდგან დასავლით ვი  
დრე ზღუადმდე სპერისა და ესე იყო განმგე და უფალ მათ  
1-16 სტრ., 9r

ოთხთავე ძმათა ზედა და ესე ოთხნივე იყვნეს მორჩილ მის  
სა ესე არიან განყოფილნი ქართლოსის ძეთანი რომელნი განყუნა  
დედამან მათმან შემდგომად სიკუდილისა ქართლოსისა ხ<sup>~</sup> მრა  
ვალთა წელთა და მრავალთა ჟამთა ცხონდა ძე ქართლოსისი და  
განმრავლდა ნათესავი მისი და მათ ყოველთა განმრავლდა ნა  
თესავი მათი:·

ხ<sup>~</sup> შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელო  
ვანნი რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს  
მეორესა ოძრჯოს და მესამესა ჯავახოს განუყო მათ ქუეყანა  
და ნათესავი მათი ყოველი ოძრჯოს მისცა ტასის კარი  
დგან ვიდრე ზღუამდე სპერისა ქუეყანად კლდოვანი ამან ოძრ  
ჯოს აღაშენა ორნი ციხე ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი ხ<sup>~</sup> ჯა  
ვახოსს მისცა ფანავრიდგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და  
ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე ქალაქნი: წუნდა და ქალა  
ქი არტანისა რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი ხოლო აწ  
ჰქუიან ჰური:·

1-16 სტრ., 9v

ხ<sup>~</sup> უფლოს დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოსისსა მ  
ცხეთას და იპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე  
ტასისკარამდე და ფანავრადმენ და ამან აღაშენა უფლისციხე  
ურბნისი კასპი არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასის კართამ  
დე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას სოფლისა რომელსა აწ  
ჰქუიან შიდა ქართლი:· ხ<sup>~</sup> ვიდრე სიკუდილამდე მცხეთოსისა ესე  
ყოველნი ნათესავნი თარგამოსისნი იყუნეს სიყუარულსა ზედა  
ერთმანერთისასა და შიში აქუნდათ ნებროთიანთა და ჰგო  
ნებდეს იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთი  
სასა და ისწრაფდეს იგინი მაგრებასა ციხე ქალაქთასა შიში  
ისათჳს ნებროთიანთასა:·

ხ<sup>~</sup> ვ<sup>~</sup> ა მოკუდა მცხეთოს ძე ქართლოსისი შთავარდა შური შორ  
ის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და კდომად ურთ  
იერთას რ<sup>~</sup> უფლოსს ძესა მცხეთოსისათა არად ერჩდეს არცა  
ხადოდეს უფლად რომელი დატევებულ იყო საყდართა ზედა  
ქართლოსისათა რ<sup>~</sup> მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობად  
1-16 სტრ., 10r

ქართლოსიანთა იწყეს ბრძოლად და კდომად ურთ[.....]  
და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა რომელ ჟამსამე აღდ  
გიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხვანი შე  
ეწეოდინ რომელნიმე მას და რომელნიმე კ<sup>~</sup> დ სხვანი აღდგ  
იან ერთმანერთსა ზედა და სხუანი შეეწეოდინ რომელსამე  
ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის და შეიშალნიან და ებრ  
ძოდინ და გაგრძელდა მათ შორის ესევეთარი საქმე და არა

ვინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს ა~დ ადგ  
ილითი ადგილად თავადნი იჩინიან ხ~ ვინცა იყუის მცხე  
თას რეცა თავადი იგი იყუის ყოველთა მათ სხუათა ზედა და  
არცა სახელედებოდათ მეფედ არცა ერისთავად ა~დ მამასახლ  
ისი ეწოდებოდათ და იგი იყუის მაზავებელ და ბჰე სხუათა ქა  
რთლოსიანთა რ~ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს  
ყოველთასა და უწოდდეს დედაქალაქად და მას ჟამსა დაივიწ  
ყეს ღ~თი დამზადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა და მთვა  
რისა და ვარსკულავთა ხუთთა და მტკიცე და უფრ[.....]

1-16 სტრ., 10v

[.....]რი მათი იყო საფლავი ქართლოსისა:

### გამოსლვა ხაზართა

მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი

და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიოსთა და ესე თა  
რგამოსიანთა ყოველნი მას ჟამსა იყუნეს მშვიდობით სიყუარუ  
ლსა ერთმანერთისასა ხ~ შვილთ ზედა კავკასისთა იყო უფალ  
დურძუკ ძე ტირეთისი ეზრახნეს ესე ექუსთავე ნათესავთა თარ  
გამოსიანთა და ითხოვდეს შუელას ხაზართა ზედა ხ~ შეკრბეს ყოველ  
ნი ნათესავნი თარგამოსიანნი და გარდავლეს მთად კავკასია და  
მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი და აღაშენნეს  
ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა და წარმოვიდეს:

ამისსა შემდგომად ხაზართა იჩინეს მეფე და დაემორჩილნეს ყოვ  
ელნი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა და წარმოიძ  
ღვანეს იგი და გამოვლეს ზღვის კარი რომელსა აწ ჰქუიან  
დარუბანდი ვერა წინა აღუდგეს თარგამოსიანნი რ~ იყო სი  
მრავლე ურიცხვი ხაზართა წარტყუენეს ქუეყანანი თარგამო  
სიანთა და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და  
1-17 სტრ., 11r

მასისისანი და ჩრდილოსანი ხ~ დაურჩეს ციხე ქალაქნი თუხარისი სამშვილ  
დე და მტუერის ციხე რომელ არს ხუნანი შიდა ქართლი და ეგრისიდა ი  
სწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი რომელ არს ზღვის კარი დარ  
უბანდი და არაგვის კარი რომელ არს დარიელა და განამრავლეს ხაზართა  
გამოსლვაჲ და ტყუენვაჲ მათი და ვერღარა წინა აღუდგეს და მიერ  
ითგან იქმნეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა:

ხ~ ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქუეყანანი რომელნი  
ზემოთ დამიწერიან და გარდავლო მთა კავკასია და იყო ძე მისი სახელით უობოს  
და მისცა ძესა თვსსა ტყუე სომხითისა და ქართლისა და მისცა ქუეყანაჲ კავკ  
ასის ნაწილი ლომეკის მდინარის დასავლით დასავლეთამდე მთისადა დაემენა  
უობოს: და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი და იგი არს ოვსეთი რომელ ნაწილი  
იყო კავკასისა ხ~ დურძუკ რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასის

თა მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა და უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი და

მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა: ხ~ მასვე გზობასა მისცა მამის ძმისწულსა მისსა ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანისა აღმოსავლით ზღვითგან დარუბანდისით მდინარედ

მდე ლომეკისა და მისცა ტყუე რანისა და მოვაკნისა და დაემენა იგი მუნ რომელ ნაწილი

იყო ლეკანისი ხ~ ხოზონიხ რომელ უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისთა

1-17 სტრ., 11v

მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ხოზანიხეთიდა გარდაჯდეს მას შინა ჟამნი მრავალნი და ესე ყოველნი ნათესავნი იყუნეს მოხარკე ხაზართა ხ~ მიერთგან განძლიერდეს სპარსნი მიერ მზისა აღმოსავლითგან ნათესავნი ნებროთისნი და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი რომლისა სახელი აფრიდონ რომელმან შეკრაო ჯაჭვითა ბევრასფი გუელთა უფალი და დააბა მთასა ზედა რომელ არს კაცთ შეუვალთა ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა: ხ~ რომელთამე ქუეყანათა შეგზავნა ერი სთავნი ჯელადნი მისნი და რომელიმე ქუეყანად მოხარკე ეყო ამან წარმოგზავნა ერი სთავი თვისი სპითა დიდითა რომელსა სახელი ერქუა არდამ შვილი ნებროთის ნათესავთა მოვ

იდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი და მოსრა ყოველი

რაოდენნი ხაზარნი პოვა ქართლსა შინა: ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვის კარს და უწოდა სახელი დარუბანდი რომელი ითარგმანების დაჯმა კარი და მან ვე მოზღლუდა მცხეთა ქალაქი ქვითკირითა და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვით

კირისა და ამის გამო დაისწავლეს ქვითკირი ამანვე არდამ მოჰკიდა კირით ზღლდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის და წარმოზღლუდა ცხვირი არ მაზისი ვიდრე მტკურამდე და ერისთავობდა აგადონ მრავალთა წელთა ხ~ ოდეს განუ 1-16 სტრ., 12r

ყო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი და მასვე ხუდა წილად ქართლი რომელსა სახელად ერქუა იარედ ხ~ შემდგომად ადარმა ერისთავისა გარდაიცვალნეს დ ერისთავნი მიერთგან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი რ~ იწყეს ბრძოლად ურთიერთას და მოკლეს ორთა ძმათა იარედ ძმაჲ მათი მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა ბერძენთასა:

**ხ~** ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა რ~ მკუდართა მის ადგილისათა ეზრახნეს ოვსთა გარდამოიყვანეს ოვსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე და კნისობდა და მოკლეს იგი და რომელ პოვეს სპარსი ყოველი მოსწყვიდე ს ოვსთა და ქართველთა და განთავისუფლდეს ქართველნი ხ~ რანი და ერეთი



დარჩა სპარსთა და შემდგომად ამისსა მრავალთა წელიწადთა კუალად განძლიერდეს სპარსნი და განდიდნა მეფე სპარსთა რომელსა ერქუა ქეკაპოს იყო ვინ მე მას ჟამსა ლეკეთს კაცი მგრძნებელი ნათესავი ხოზანიხიზისი და მან გრძნებითა თუ ისითა დააბრმო ქეკაპოს მეფე და სპა მისი და ვერ შევიდა ლეკეთს უკუმოიქცა და მაში ნდა განუნათლდა თუალები ამან ქეკაპოს კუალად მოხარვე ყვნა ქართველნი და წარვიდა კვლად ამისსა რადოდენტამე წელიწადთა მოვიდა ჰამბავი ვითარმედ მოსე განვლო ზღუა

1-18 სტრ., 12v

ისრაელთა და იზრდებიან იგინი უდაბნოს მანანათა განკვირდეს ყოველნი და მათ ყოველთა წარმართთა აქეს ლ~თი ისრაელთა: და შემდგომად ამისსა რადოდენტამე წელიწადთა უცალო იქმნა ქეკაპოს მეფე სპარსთა რ~ იწყო ბრძოლა თურქთა მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე სომეხთა და ქართველთა და განუდგეს სპარსთა და განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი მათნი და შეერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი შემდგომად ამისსა რადოდენტამე წელიწადთა გამოგზავნა ქეკაპოს სპარსთა მეფემან მე მისი რომელსა ერქუა ფარშოროტ სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა ზედა ხ~ შეკრბეს ყოველნი თარგამოსიანნი მიეგებნეს და დაეწყვნეს ადარზადაგანს სძლეს და იოტეს ფარშოროტ და მოსრეს სპა მისი შემდგომად ამისსა მცირედთა წელიწადთა კვალად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძისწული მისი მე შიომ ბედნიერისა რომელი მოიკლა თურქეთს ვ~ა წერილ არს წიგნთა სპარსთა ცხოვრებისასა არა ყოველი მართალი არამედ უმრავლესი ტყუილი წარმოემართა ესე მე შიომ ისი სახელით ქაიხოსრო ვერ წინააღუდგეს მას სომეხნი და ქართველნი რ~ დიდი იყო ძალი მისი მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი მოტყუენა ყოველივე იავარყვნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და

დაუტევნა ერისთავნი და აღაშენა ადარზადაგანს სახლი სალო

ცავი სჯულისა მათისა და წარვიდა: და შემდგომად ამისსა რადოდენტამე წელი

1-18 სტრ., 13r

იწადთა უცალო იქმნა ქაიხოსრო მეფე და იწყო ბრძოლად თურქთა ეძიებდა სისხლსა მამისა მათისასა და პოვეს ჟამი სომეხთა და ქართველთა განუდგეს სპარსთა და მოსრნეს ერისთავნი სპარსთანი და განთავისუფლდეს მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან გამოვლეს ზღუად გურგანისი აღმოჰყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა ხ~ მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა ინებეს დამეგობრებად მათ თურქთა რ~ აქუნდა შიში სპარსთა და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა: ხ~ უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი ღრმა და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან მისცა და აღაშენეს იგი მოზღლედ ეს მტკიცედ და ეწოდა მას ადგილსა სარკინე და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანერთისადა მოელოდეს მოსლვასა სპარსთასა

ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა მას ჟამსა შინა სადათაც ვინ მოვიდის ოტებულნი საბერძნეთით გინა ასურით გინა ხაზარეთით ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათუის სპარსთა ზედა: და გამოჰდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოტ 1-18 სტრ., 13v

ყუნა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლსა მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა რომელსა ჰქუიან ზანავი და რომელი ქუეყანად აქუნდა მათ ხარკითა აწ ჰქუიან ხერკ ხარკისა მისთუის აქამომდის ქართლოს იანთა ენა მხოლოდ ქართული იყო რომელსა ზრახვიდეს ხ~ ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა მაშინ ქართველთაცა განწყუნეს ენა თვისი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა რ~ ცოლქმრობისათუის არა უჩნდათ ნათესაობად და ყოველსა სულიერსა ჭამდეს საფლავი არა იყო მკუდა რსა შესჭამდეს შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა მე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი სახელით სპანდიატ რვალი გოლიათი იგი და სახელოვანი ხ~ ვერ წინა აღუდგეს სომეხნი და ქართველნი არა მედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი და მოელოდეს მოსლვასა მისსა ხ~ მოვიდა რა იგი ადარბადაგანს ეწია ამბავი სპარსთა რ~ მოკლეს მამის მამა მისი თურქთა და შემოვიდეს თურქნი სპარსეთად მაშინ დაუტევა სპანდიატ ბრძოლა სომეხთა და ქართველთა შეიქცა თურქთა ზედა ძებნად სისხლსა მამის მათისა და განთავისუფლდეს სომეხნი და ქართველნი შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს მე სპანდიატ რვა 1-18 სტრ., 14r

ლისა რომელი არს სახელით ბარამ რომელი იცნობების არდაშირობით ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა ამან დაიპყრა ბაბილოვანი და ასურეთი მოხარკე ყვნა ბერძენნი და ჰრომნი და მაშინ ქართველნი მოხარკე იყვნეს მისდავე და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური ქართული ხაზარული ასურული ებრაული და ბერძული ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა მამათა და დედათა:

#### თავი შემოსლვა ალექსანდრესი:

ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა ქუეყანასა რომელსა ჰქუიან მაკედონი ძენი კაცნობისი მეგვიპტელისა ვ~ აწერილ არს ჰამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა ამან ალექსანდრემ დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი ესე გამოვიდა დასავლით და შევიდა სამკრით შემოვიდა ჩრდილოთ გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა რ~ ცოლქმრობისა და სიძვისათუის არა უჩნდა ნათესაობად ყოველსა სულიერსა ჭამდეს მკუდარსა შესჭამდეს და უკვირდა ესე ალექსანდრეს რ~ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას და პოვნა ც

იხე ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა ხერთუისი მტკურ  
ისა ოძრკე მოკიდებული კლდესა ღადოსსა თუხარისი მდინარესა ზედა  
1-18 სტრ., 14v

სპერისასა რომელსა ჰქვიან ჭოროხი ურბნისი კასპი და უფლისციხე ქალაქი დიდ  
ი მცხეთა და უბანნი მისნი სარკინე ციხე დიდი და ზანავი უბანი ჰურია  
თა და რუსთავი და დედა ციხე სამშვილდე და მტუერის ციხე რომელ არს ხუ  
ნანი და კახეთისა ქალაქნი ამათ ყოველთა ციხე ქალაქთა შინა პოვნა კა  
ცნი სასტიკად მბრძოლნი და განუყო ლაშქარი თვისი და ყოველთა ამათ ცი  
ხე ქალაქთა გარემოდ გინნა და თუით დადგა მცხეთას და დაუდგინნა ლაშ  
ქარნი იმიერ და ამიერ ზემოთ და ქუემოთ და თუით დადგა ქსანს ზედა ადგილსა  
რომელსა ჰქვიან ნასტაკისი: მტუერის ციხესა და თუხარისსა არაჲ ჰბრძოდა რ  
ვერ შეუძლებდა დაპყრობად ხ სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექუს  
თუე ხ სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა განუწყრა ალექსანდ  
რე და არღარაჲ ინება ზავი და ვედრებაჲ მათი არა შეიწყნარა და ჰქუა მათ  
ვინათგან მაგინეთ მე ესე არს ნაცვალნი თქუენი რათა დაგკოცნე ყოველ  
ნი და მოიცვაჲ ქალაქი სარკინე და ვერაჲ სადეთ განერა ერთიცა კაცი ხ სარ  
კინელთა შესჭირდა რ ჰბრძოდა თერთმეტ თუე იწყეს ფარულად კლდ  
ესა კაფად და განჯურიტეს კლდე იგი რომელი ლბილ იყო და ადვილად საჯ  
ურეტელი და განკრბეს ჯურელსა მას სარკინელნი ღამე და შეივლტო  
დეს კავკასიად და დაუტევეს ცალიერად ქალაქი: დაიპყრა ალექსან  
დრე ყოველი ქართლი და მოსრნა ყოველნი იგი ნათ

1-18 სტრ., 15r

ესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა  
და დაატყუევნა და დედანი და ყრმანი უცებნი თხუთმეტისა წლისა უმცროსნი  
და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი და დაუტევა მათ ზედა პატრ  
იკად სახელით აზონ მე იარედლოსისი ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით  
და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით ჰრომით რომელსა ჰქვიან ფროტათოს ესე ფ  
როტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მკნენი ეკირთებოდეს ქუეყა  
ნასა ჰრომისასა და მოიყვანნა ქართლად მისცა აზონს პატრიკსა და დაუტე  
ვა ქართლს ერისთავად აზონ და მის თანა სპანი იგი მპყრობელად ქართლისა:  
და უბრძანა ალექსანდრემ აზონს რათა პატივსცემდენ მზესა და მთვარესა  
და ვარსკულავთა ხუთთა და ჰმსახურებდენ ღ თსა უხილავსა დამზადებელსა  
ყოვლისასა რ მას ჟამსა არაჲ იყო წ წყუელი და მოძღუარი სჯულისა ჰ  
ემმარიტისა რომელმანცა ასწავა და ამხილა ა დ თუით მოიგონა  
სჯული ესე ალექსანდრე მეფობასა შინა მისსა ყოველსა ქუეყანასაჲ სჯ  
ული ეს დაუდვაჲ და წარვიდა ალექსანდრე: ხ ამან აზონ მოარღვივნა ზ  
ლუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძველითურთ და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი  
რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე რომელ არს არ  
მაზი და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხუირისასა და ერთი თავსა  
ზედა მცხეთისასა მეოთხე ციხე დასავლით მცხეთა მტკუარსა ზედა და ესენი  
1-18 სტრ., 15v

მომტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრითა და ყოველთა ქართლისა ქალაქთა და მოარღუივნა ზღუდენი და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი და ბერდუჯის მდინართგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოხარკე ყვნა ოსნი ლეკნი და ხაზარნი და ვითარ წარვიდა ალექსანდრე ეგუიპტედ აღაშენა ქალაქი ალექსანდრია და თორმეტ წლამდის მოვლო ყოველი ქუეყანა თორმეტსა წელსა შინა დაეპყრნეს ყოვლი კიდენი ქუეყანისანი და მეთოთხმეტესა წელსა ალექსანდრიას შინა მოკუდა იგი უსწორო დიდი ჯელმწიფე და ვითარ მოკუდებოდა იგი მისსავე სიცოცხლე სადა შინა განუტევნა ყოველნი მთავარნი იგი რომელნი შეპყრობილ და დამონებულ იყვნენ მისგან და იგინი წარვიდეს თუის თუისად ქუეყნად ვა ბრძანებულ იყო მერმე მაშინ მოიყვანნა ოთხნი კაცნი ტომნი მისნი რომელნი იყუნეს სახელით: ანტიოქოზ ჰრომოს ბიზინტიოს და პლატონ და მისცა ანტიოქოზს ასურასტანი და სომხითი და კერძოდ აღმოსავლეთისადა უჩინადა მას და მან აღაშენა ქალაქი ანტიოქიადა ხ ჰრომოს მისცადა თრიმიკოსი და უჩინადა კერძოდ დასავლეთისადა და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი: და ბიზინტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი და უჩინადა კერძოდ ჩრდილოსადა და მოუწერა წიგნი ანდერძი აზონ პატრიკსადა ერისთავსა ქართლისასა რათა მსახურებდეს იგი ბიზინტიოსს და მან აღაშენა ქალაქი ბიზინტიადა რომელსა აწ ჰქვიან კოსტანტინეპოლი: ხ 1-18 სტრ., 16r

ლატონ დაუტევად ალექსანდრიას და მოკუდადა ალექსანდრე ამან აზონ დაუტევად სჯული ალექსანდრეს მოცემული იყყო კერპთმსახურებადა და შექმნნა ორნი კერპნი ვეცხლისანი: გაცი და გაიმ და მონებდადა იგი ბიზინტიოსს მეფესადა საბერძნეთისასადა იყო კაცი ძნელი და მესისხლე და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა ვითარმედ ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან ჰპოოს საჭურველი მოჰკალთ იგი და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა და ვინცა ვინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულკეთილ ჰასაკოვანი მოკლიან იგი და იყო ჭირი დიდი ქართველთა ზედა და ესე აზონ მათ ჰრომთაცა ზედა იყო მესისხლე და მოესრნეს მრავალნი მათგანნი:

**ცხოვრებადა ფარნავაზისი რომელი იყო პირველი მეფე ქართლისადა :**

მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა რომელსა ერქუა ფარნავაზ ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართველი ნათესავი უფლოსი მცხეთოს ძისადა და დედულად სპარსი ასპანელი და იყო იგი ძმისწული სამარისი რომელი მოსლვასადა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ იყო ესე სამარ და ძმა მისი მამადა ფარნავაზისი მოკლულ იყო ალექსანდრესგან ხ დედასა ფარნავაზისასა წარეყვანა ფარნავაზ სამისა წლისა ყრმადა და შელტოლვილ იყო კავკასიად და მუნ აღზრდილ იყო და მოსრულ იყო მცხეთას მამულსა თუისსა: ხ ესე ფარნავაზ იყო 1-18 სტრ., 16v

კაცი გონიერი მჯედარი და შემმართველი და მონადირე ჯელოვანი და იმაღვიდა იგი სიკეთესა თუისსა აზონის შიშისაგან ხ მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა და შეიყუარა იგი აზონმან მონადირეობისათუ

ის ევედრებოდა ფარნავაზს დედა მისი შვილო ჩემო ეკრძალებ აზონს და ნურა რადს იჩინებ თავისა შენისა სიკეთესა ნუ უკუე მოგკლან შენ და იყო შიში და ძრწოლა მას ზედა და ვითარ განმრავლდა შიში აზონისი მათ ზედა ჰქუა ფარნავაზს დედამან მისმან შვილო ჩემო დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამ

ულსა ჩემსა ასპანს ძმათა ჩემთა თანა და განერე შენ ცოცხალი ჳელისაგან აზონისა: და დაამტკიცეს განზრახვა ესე წარსლვა ასპანისა ჳირ უჩნდა ფარნავაზს დატევებად საყოფელსად მამათა მისთასა არამედ შიშისაგან დიდი სა დაამტკიცა წარსლვა მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა და ეგულვებოდა განსლვა და ვერ განვიდა მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა და განიზი და და განიყვანა სარკუმელსა მას და ვითარ განვიდა ველად იხილა მზე ქუემ დებარედ მიჳყო ჳელი მისი მოჳკოცა ცუარი პირსა მისისა და იცხო პირსა მისსა განიღვიძა ფარნავაზ და განუკვირდა სიზმარი იგი ესე არს მე წარვალ ასპანს და მუნ კეთილსა მივეცემი ხ~ მას დღესა შინა განვიდა და ნადირობდა მარტო და დევნა უყო ირემთა ველსა დილომისასა და ივლტოდეს ირემნი